

საქართველოს კანონი

“კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოდან შემოტანის შესახებ” საქართველოს კანონში (სსმ, 2001 წ., N23, მუხ. 89) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 20. კულტურული ფასეულობის ტრანზიტი

კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს წარედგინება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული საბუთები, რომელთა საფუძველზედაც დგინდება ამ კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის მიზნით შემოტანა.”

2. 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის შესახებ ინსტრუქცია მტკიცდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.